

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
აღმართ გოლოგიას და კლინიკური იმუნოლოგიის მიმართულება

დაპირის თელიას
პლიციკური ლექციების ციკლი

ი მ უ ნ ი ზ ა ვ ი ა ლ ა
გ ი ს ი ა ი რ ი თ ა დ ი
პ რ ი ნ ვ ი პ ე ბ ი

თბილისი

2009 წ.

იმუნიზაცია და მისი პირითაღი პრიცეპები

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის მიმართულება
დავით თელიას კლინიკური ლექციების ციკლი

იმუნიზაცია და მისი პირითაღი პრიცეპები

ნაშრომი განკუთვნილია
უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების
სტუდენტებისთვის, ალერგოლოგებისთვის,
თერაპევტებისთვის, პედიატრებისთვის, ოჯახისა და
ზოგადი პრაქტიკის მქონე ექიმებისთვის.

ნაშრომზე ყველა საავტორო უფლება ეკუთვნის დავით თელიას.
ავტორის ნებართვის გარეშე ნაშრომის სრული ან
ნაწილობრივი კოპირება და გავრცელება აკრძალულია.

თბილისი, 2009 წ.

იმუნიზაცია და მისი ძირითადი პრინციპები

ცნობილია, რომ ვაქცინაცია ინფექციისგან თავის დაცვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზაა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მისი მეშვეობით გადაურჩა მიღლიონობით ადამიანი ინფექციური დაავადებების მომაკვდინებელ ზემოქმედებას.

კაცობრიობა უხსოვარი დროიდან ებრძოდა ინფექციებს, მაგრამ მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოს გახდა შესაძლებელი მათგან თავის დაცვის მეცნიერულად გააზრებული და ეფექტური მეთოდოლოგიის შემუშავება. მეთოდოლოგიისა, რომელიც მედიცინის ერთ-ერთ უმთავრეს მონაბორვად იქნა აღიარებული და ამ დარღვები პირველი ნობელის პრემიით აღინიშნა (ემილ ბერინგი, 1901 წელი, დიუტერიის საწინააღმდეგო აკადემია).

ამჟამად ორგვარ იმუნიზაციას მიმართავენ: **აქტოურს** (ვაქცინები) და **პასიურს** (იმუნოგლობულინები).

იმუნიზაციის ეფექტურად და ოპტიმალურად ჩატარებისთვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, გადაწყდეს რამდენიმე საკითხი:

- ვის უნდა ჩატარდეს იმუნიზაცია;
- რით უნდა ჩატარდეს;
- როდის უნდა ჩატარდეს;
- რა გართულებებია მოსალოდნელი იმუნიზაციის დროს და მის შემდეგ.

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა შესაძლებელია ანამნეზის შეკრებით, აგრეთვე – ფიზიკალური და ლაბორატორიული გაშოკგლეფებით. ასე, მაგალითად:

ანამნეზის საშუალებით შეიძლება განისაზღვროს, სჭირდება თუ არა პაციენტს ტეტანუსის ტოქსოიდის (ანატოქსინის) ან ანტიტოქსინის შევვანა ჭრილობის მიღების შემდეგ, რამდენად აუცილებელია ფარინგიტით დაავადებულისთვის დიფტერიის საწინააღმდეგო აცრის ჩატარება ან საჭიროა თუ არა სხვა ქვეყანაში გამგზავრების წინ ვაქცინაცია. ანამნეზისავე მეშვეობით შეიძლება აცრის დროს ან მის შემდეგ მოსალოდნელი აღერგოული ან გვერდითი მოვლენების მეტ-ნაკლები სიზუსტით პროგნოზირება.

თანამედროვე ვაქცინების უმრავლესობა იმდენად გაწმენდილია, რომ მათი გამოყენებისას ალერგიული რეაქციები ნაკლებად არის მოსალოდნელი. მიუხედავად ამისა, თუ პაციენტს ოდესმე მაინც ჯეონია ასეთი რეაქცია, ვაქცინაცია უკუნაჩვენებია. კვერცხის მიმართ ალერგიის მქონე პირისთვის გრიპისა და ყვითელი ცხელების საწინააღმდეგო ვაქცინით (დაზადებულია კვერცხს ცილაზე) აცრა არ შეიძლება. ვირუსული ვაქცინები, რომლებიც დამზადებულია ქსოვილოვან კულტურებზე, ხშირად შეიცავს მცირე ღრეულობით ანტიბიოტიკს (უმთავრესად – ნეომიცინს, პოლიმიქსინს), რომლებსაც შეუძლია, ალერგიული რეაქციები გამოიწვიოს. როგორც არ უნდა იყოს, თუ ვაქცინაციის შემდეგ ალერგიული რეაქცია განვითარდა, საჭიროა, დანამდვილებით ვიცოდეთ, რა შემადგენლობის ვაქცინა იქნა გამოყენებული კერძო შემთხვევაში. ცოცხალი ვაქცინების გამოყენება უკუ-

ნაჩვენებია იმუნდეზიციტური მდგომარეობისას, იმუნოსუპრესიული მკურნალობის შემდეგ და ორსულობისას (შესაძლოა, ნაყოფზე უარყოფითად იმოქმედოს). ასეთი ვაქცინით აცრის შემდეგ ფერტილური ასაკის ქალებმა დაორსულების თავიდან ასაცილებლად 3 თვის განმავლობაში კონტრაცეფციას უნდა მიმართონ. პასიური ვაქცინაცია ასეთ შემთხვევაში უსაფრთხოა, მისი გამოყენება თამამად შეიძლება.

პასიური (Ig-ით) ვაქცინაციის ჩატარების შემდეგ ცოცხალი ვაქცინის შეყვანა რეკომენდებული არ არის, ვინაიდან პასიური იმუნიტეტი აქტიურის ჩამოყალიბებას ხელს უშლის [1]. პასიური ვაქცინაციის ჩატარება შესაძლებელია აქტიური (ცოცხალი) ვაქცინით იმუნიზაციიდან 2 კვირის შემდეგ.

მსუბუქი დაავადებები (ზემო სასუნთქი გზების ინფექციები ცხელებით ან ცხელების გარეშე) ვაქცინაციის უკუჩვენებას არ წარმოადგენს. საშუალო სიმძიმისა და მძიმე ინფექციების დროს ვაქცინაცია რეკომენდებული არ არის – ამ დაავადებების ფონზე აცრის ეფექტი მცირდება, ხოლო გვერდითი მოვლენები უფრო მეტად მწვავდება.

ვარცინაციამდე ჩასატარებელი კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევები

როდესაც იმუნიზაციის საკითხი დაისმის, კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევების მეშვეობით შესაძლებელია დამატებითი ინფორმაციის მოძიება, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ვაქცინაცია უფრო ოპტიმალურად და ეფექტურად ჩავატაროთ. კერძოდ, ფიზიკალური გამოკვლევით შესაძლებელია გამოვავლინოთ ორსულობა, სხვადასხვა მწვავე დაავადება, იმუნდეზიციტური მდგომარეობა და ა.შ., ხოლო სეროლოგიური ტესტებით შეგვიძლია დავადგინოთ, რამდენად ოპტიმალურად არის შერჩეული ასაცრელი პირი. ასე, მაგალითად: თუ დაგეგმილია ყბაყურას აცრა ფერტილური ასაკის ქალებში, მაგრამ სეროლოგიურმა ტესტებმა ყბაყურას საწინააღმდეგო ანტისხეულები გამოვალინა, ვაქცინაციას აზრი არ აქვს. ასევე, როდესაც იგეგმება B ჰეპატიტის საწინააღმდეგო პასიური ან აქტიური აცრა, ხოლო პაციენტს ამ დაავადების საწინააღმდეგო ანტისხეულები აღმოაჩნდება, ვაქცინაცია ზედმეტია. ასაცრელ პოპულაციაში B ჰეპატიტის მარკერების შესწავლა გვაწვდის სასარგებლო ინფორმაციას ამ ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების არსებობისა და, მაშასადმე, მოსახლეობის იმუნიზაციის მიზანშეწილობის შესახებ.

იმუნიზაციის პროცედურები

კომერციულად დამზადებული ვაქცინის ინსტრუქცია შეიცავს დაწერილებით ინფორმაციას პრეპარატის შემადგენლობის, მისი დოზირების, შეყვანის გზის, სქემის, თანმიმდევრობის, გენერითი ეფექტების, უკუჩვენებებისა და შენახვის წესის შესახებ.

ინაქტივირებული ვაქცინები შესაძლოა შეყვანილ იქნეს ერთდროულად სხვადასხვა ადგილას ან, თუ კომბინირებულია, ერთ ადგილას. ინაქტივირებული და ცოცხალი დასუსტებული ვაქცინები შეიძლება ერთდროულად სხვადასხვა ადგილას შევიყვანოთ. ზოგიერთი ცოცხალი ვაქცინა, მაგალითად, წითელასი, წითურასი, ყბაყურასი (MMR), წისისამებრ, კომბინირებულად გამოიყენება. ვაქცინაციის წინ საჭიროა პაციენტის სრულყოფილად ინფორმირება ვაქცინაციის დადებითი და სავარაუდო უარყოფითი ეფექტების შესახებ. ვაქცინის შეყვანის შემდეგ 20-30 წუთის განმავლობაში საჭიროა პაციენტზე დაკგირვება. აუცილებლად უნდა აღინუსხოს ჩატარებული ვაქცინაციის ყველა წერილმანი.

ვაქცინაციის ეფექტიანობის აუცილებელი პირობაა ორგანიზაციული საკითხების მოვარება, მათ შორის – პაციენტებისთვის ე.წ. შეხსენების სისტემის დანერგვა და მისი ეფექტური გამოყენება.

დიფარია

ყველა, ვისაც არ ჩატარება დიფარიას ვაქცინაცია (ტოქსოიდით), საჭიროა, აიცრას მოწოდებული სქემით. ამასთანავე, დიფარიის ტოქსოიდის (ანატოქსინის) შემანარჩუნებელი დოზა კეთდება ტეტანუსის ანატოქსინთან ერთად (როდესაც ეს უკანასკნელი ნაჩვენებია). არამდეზიტური ზრდასრული პირების-თვის იყენებენ მოზრდილთა ტეტანუსისა და დიფარიის (Td) ვაქცინას. ის არ შეიცავს ყვანასკველას კომბონენტს, რის გამოც სენსიბილიზებულ პირებში ადგილობრივ რეაქციას შედარებით იშვიათად იწვევს. Td ვაქცინა ასიდან 25-50 შემთხვევაში განაპირობებს ადგილობრივ რეაქციებს – ტკივილს, შეშუპებას, ქავილს, 10 შემთხვევაში – ცხელებას, 2 შემთხვევაში – ურტიკარიას. სისტემური რეაქციები (შეშუპება და ანაფილაქსია) იშვიათია.

არამდეზიტურ პირს დიფარიით დაავადებულთან კონტაქტის დროს პროფილაქტიკის მიზნით შესაძლოა ჩაუტარდეს ანტიბიოტიკოთერაპია – 600 000 ერთ. ბენზათილპნიკოლინი ი/მ ან ერითრომაცინი 250 მგ დღეში 4-ჯერ 7 დღის განმავლობაში. ამის შემდეგ უნდა გადაწყდეს მისი ვაქცინაციის საკითხი.

ტეტანუსი

ტეტანუსის მიმართ იმუნიტეტი ზოგიერთს ბუნებრივად უყალიბდება. მიუხდავად ამისა, აქტიური იმუნიზაცია ყველა შემთხვევაში აუცილებელია [10]. აცრა საჭიროა, თუნდაც პირს დააგადება ცოტა ხნის წინ ჰქონდეს გადატანილი – ის არ ტოვებს მყარ იმუნიტეტს.

ტეტანუსის განვითარება მოსალოდნელია ჭრილობისა და ნაკენის შემდეგ. საინკუბაციო პერიოდია 4-21 (საშუალოდ – 10) დღე. როდესაც ადამიანს ჩატარებული აქვს საწყისი ვაქცინაცია (3 ინჯეცია), 10 წლიწადში ერთხელ ადსორბირებული ტოქსინით (Td) დამატებითი ვაქცინაცია სავსებით საქმარისია სტაბილური ანტიტეტანური იმუნიტეტის ჩამოსაყალიბებლად. ჭრილობის შემთხვევაში დიფტერიატეტანუსის ანატოქსინით დამატებითი აცრის ჩატარება-არჩატარება იმაზეა დამოკიდებული, რამდენჯერ არის ვაქცინირებული წარსულში პაციენტი და როგორია ჭრილობის სახე (იხ. ცხრილი №1). ამ დროს საჭიროა მხოლოდ ადსორბირებული ანატოქსინის გამოყენება.

პაციენტებს, რომლებიც სათანადოდ არ არიან იმუნიზებულნი, სჭირდებათ ტეტანუსის Ig – 250 ერთეული ინტრამუსკულარულად. თუ ეს პრეპარატი დამზადებულია ადამიანის შრატით, ალერგიული რეაქციის განვითარების ალბათობა ნაკლებია. Ig-ის შეკვამდე საჭიროა, გაკეთდეს ანატოქსინის პირველი დოზა (სხვა ადგილას), ხოლო შემდეგ – მომდევნო დოზები შესაბამისად 1 თვის შემდეგ და 6-12 თვის შემდეგ ინტერვალში (ცხრილი №2).

A ჰეპათიტი

არსებობს ორი ტიპის ინაქტივირებული ვაქცინა: Havrix (Glaxo-Smith-Kline) და Vaqta (Merck). ეს ვაქცინები ძლიერი იმუნოგენური თვისების მატარებელია და ათიდან ცხრა შემთხვევაში კარგ პრევენციულ (თუმცა არა სანგრძლივ) ეფექტს იძლევა. ისინი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს A ჰეპათიტის საწინააღმდეგო Ig-ის ნაცვლად დაავადების პროფილაქტიკის მიზნით, თუმცა მათი გამოყენება არ არის გამართლებული იმ პირებისთვის, რომლებსაც კონტაქტი ჰქონდათ აქტიურ ჰეპატიტთან (მას აქვს შედარებით ხანმოკლე – 2-8-კვირიანი საინკუბაციო პერიოდი). ამ შემთხვევაში საჭიროა პასიური იმუნიზაციის ჩატარება ადამიანის იმუნოგლობულინით (0,02 მლ/კგ ი/მ) კონტაქტიდან 2 კვირის განმავლობაში [11]. A ჰეპატიტის ვაქცინით აქტიური იმუნიზაცია რეკომენდებულია ცუდ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მცხოვრები პოპულაციისთვის, აგრეთვე – მათვის, ვინც განვითარებად და ჩამორჩენილ ქვეყნებში მოგზაურობს, ენდემურ კერებში მცხოვრები პირებისთვის, ნარკომანებისა და პომოსექსუალისტებისთვის.

ვაქცინა კეთდება ინტრამუსკულარულად, დელტოიდურ კუნთში, ორ დოზად. მეორე დოზა შეპყავთ პირველიდან 6-12 თვის შემდეგ. დოზა შეირჩევა პაციენტის ასაკისა და ვაქცინის სპეციფიკურობის გათვალისწინებით. გვერდითი მოვლენებია: ტკივილი ინექციის ადგილას, შეწითლება 3 დღის განმავლობაში, ზოგჯერ – თავის ტკივილი. მძიმე გვერდითი მოვლენა კერებისთვის, განვითარებად და ჩამორჩენილ ქვეყნებში მოგზაურობს, ენდემურ კერებში მცხოვრები პირებისთვის, ნარკომანებისა და პომოსექსუალისტებისთვის.

ცხრილი №1

არილობის დროს ტეტანუსის პროფილაქტიკის სხეული

ალერგიზაცია ანატოქსინის დოზის გარეულება (ანამონური)	მცირე და ცუვთა არილობა		შევლა სხვა სახის არილობა*	
	Td *	Tlg	Td **	Tlg
გაურკვეველია ან <3	დიას	არა	დიას	დიას
> = 3***	არა****	არა	არა*****	არა

Tlg – ტეტანუსის იმუნოგლობულინი.

* – ჭრილობა, დაბინძურებული ჭრილობით, ფეკალიებით, ნერწყვით; ნაჩვლეტი ჭრილობა; ნაფლეთი ჭრილობა; ცეცხლნასროლი ჭრილობა; დამწვრობა; მოყნვა.

** – Td, დიფტერიის და ტეტანუსის ანატოქსინი, ადსორბირებული (დიდებისთვის). 7 წელზე უმცროსი ასაკის პაციენტებისთვის მიზანშეწონილია Td და აცელულარული DTP ვაქცინა. უკეთესია მხოლოდ ტეტანუსის ანატოქსინთან შედარებით. 7 წელზე უფროს ასაკში Td-ვაქცინაცია უკეთესია ტეტანუსის ანატოქსინთან შედარებით.

*** – თუ პაციენტი სამჯერ არის აცრილი არაადსორბირებული ვაქცინით, ანატოქსინის მეოთხე დოზა უმჯობესია ადსორბირებული ვაქცინა იყოს.

**** – უნდა გაკეთდეს, თუ უკანასკნელი ვაქცინაციიდან 10 წელზე მეტია გასული.

***** – უნდა გაკეთდეს, თუ უკანასკნელი ვაქცინაციიდან 5 წელზე მეტია გასული (დამატებითი ვაქცინაცია არ არის საჭირო – შესაძლოა, გვერდითი მოვლენები გამოიწვიოს).

იმუნიზაცია და მისი მიღითადი პრიცეპები

ცხრილი №2

ჟეტანუსის საჯინაღოდებო ვაქცინაცია

ვარცინა	რეკომენდაცია	სევა	გვერდითი მოვლენები, უაჭიშვება და გაფრთხილება
TD (ტეტანუსი, დიფტერია) ი/გ	<ul style="list-style-type: none"> სასურველია აიცრას ყველა ზრდასრული პირი აცრის პირველი ციკლის შემდეგ რეაქცინაცია ტარდება ყველ 10 წელიწადში ერთხელ ჭრილობის შემთხვევაში, თუ უკანასკნელი აცრიდან გასულია 5 წელი, შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი აცრის ჩატარება. ყველა ჩვენების დროს გამოიყენეთ Td და არა ტეტანუსის ტოქსოიდი (TT) 	<ul style="list-style-type: none"> პირველადი ვაქცინაციის სრული კურსის შემდეგ საჭიროა რეაქცინაცია ყოველ 10 წელიწადში ერთხელ. პირები, რომლებსაც ვაქცინაცია არ ჩატარებით ან დაუგვიანდათ, იცრებიან ჩვეულებრივი სქემით 0, 1-2, 6-12 თვის ინტერვალებით. დოზის დაგვინების შემთხვევაში ვაქცინაციის ახალი ციკლის დაწყება აუცილებელი არ არის. 	<ul style="list-style-type: none"> ანაფილაქსიური და ნეფროლოგიური რეაქციები წარსულში მწვავე და საშუალო სიმძიმის მდგომარეობები Guillain-Barre-ის სინდრომი ვაქცინის პირველი დოზის შეყვანიდან 6 კვირის განმავლობაში დასაშენების ორსულებისა და მეძუძური ქალებისთვის
პოლიო IPV ი/მ ან კე.	არ არის რეკომენდებული მისი რუსინული გამოყენება 18 წელზე უფროსი ასაკის პირებში.	გამოყენებისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მწარმოებლის რეკომენდაციები	<ul style="list-style-type: none"> ანაფილაქსიური და ნეფროლოგიური რეაქციები წარსულში ორსულობა მწვავე და საშუალო სიმძიმის მდგომარეობები

ცხრილი №3

A ჰეპატიტის საჯინაღოდებო ვაქცინაცია

ვარცინა	რეკომენდაცია	სევა	გვერდითი მოვლენები, უაჭიშვება და გაფრთხილება
A ჰეპატიტის ი/მ ვაქცინა	<ul style="list-style-type: none"> პირები, რომლებიც მაღალი რისკის ქვეყნებში მიერგვიანდებიან ღვიძლის ქრონიკული დაავადებების, მათ შორის – B და C ჰეპატიტების მქონე პირები პომისექსუალუსტრები, სისხლის შედედების დაავადებების მქონე პირები, მათთან შეხვებაში მყოფი პირები, პირები, რომლებსაც შეხება აქვთ საკებელობა (საწყიბებში მომზადება პერსონალი) სურვილისამებრ 40 წელს გადაცილებული პირები (წარმოადგენენ რისკებულს) 	<ul style="list-style-type: none"> A და B ჰეპატიტების კომბინირებული ვაქცინის (Twinrix) სამი დოზა 0, 1, 6 თვის ინტერვალით. რეციპიენტი უნდა იყოს 18 წლის ან მეტის. შეიძლება აგრეთვე, გაკეთდეს ორი დოზა (სხვა ვაქცინის შემთხვევაში). I და II დოზებს შორის უნდა გავიდეს მინიმუმ 6 თვე თუ მეორე დოზა დაგვიანდა, კეთდება მეორე დოზა. პირველი არ მეორდება. 	<ul style="list-style-type: none"> მწვავე და მძიმე მდგომარეობები ანაფილაქსის შემთხვევა წარსულში ორსულობა (დაუდგენელია) ლაქტაცია (შესაძლებელია გაკეთდეს)

ნები მოსალოდნელი არ არის. ვაქცინაციის შემდეგ ანტისხეულების 90% პირველი 1 თვის განმავლობაში წარმოიქმნება, ხოლო 10% – მეორე დოზის შეყვანის შემდეგ. იმუნიტეტი 10 წლის მანძილზე ნარჩუნდება (ცხრილი №3).

B ჰეპატიტი

B ჰეპატიტის ვაქცინაცია ჰიპერიმუნოგლობულინით ასიდან 75 შემთხვევაშია ეფექტური იმ პაციენტებისთვის, რომლებსაც კონტაქტი ჰქონდათ დაავადებასთან [13]. როდესაც B ჰეპატიტის იმუნოგლობულინი კეთდება ვაქცინასთან ერთად, პროტექტორული ეფექტი იზრდება. კონტაქტურ პირებს, რომლებსაც B ჰეპატიტის ზედაპირული ანტიგენის (HBsAg) მიმართ ანტისხეულები აღენიშნებათ, პროფილაქტიკური ვაქცინაცია არ სჭირდებათ. ნებისმიერ ასაკში ვაქცინა შეჰყავთ ინტრამუსკულარულად, 0, 1-2 და 4-6 თვისანი ინტერვალებით. ასეთი სქემა 80-95%-ით უზრუნველყოფს ადეპვატურ იმუნურ პასუხს. შეყვანის ადგილი

(მხრის მიდამო) მკაცრად უნდა იყოს დაცული. ვაქცინაციის შემდეგ მოსალოდნელია ტკივილი, შეწითლება, იშვიათად – ანაფილაქსიური რეაქცია.

ამჟამად ვაქცინის შემანარჩუნებელი დოზების რუტინული შეყვანა არ არის რეკომენდებული, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 5-8 წლის შემდეგ ათიდან 3-6 შემთხვევაში ანტისხეულების ტიტრი საგრძნობლად ქვეითდება (10 mIU/ml). აცრილ პირებს შესაძლოა განუვითარდეთ სუბკლინიკური ინფექციები. ქრონიკული ინფექციის განვითარების პრევნციული ეფექტი ვლინდება ვაქცინაციის სრული კურსის შემდეგ და 15 წლის განმავლობაში გრძელდება.

ცხრილ №4-ში მოყვანილია რეკომენდაციები B ჰეპატიტის პროფილაქტიკური აცრილის თაობაზე.

რეკომენდებულია: ჩვილების რუტინული ვაქცინაცია (3 დოზა) ჯერ კიდევ სამშობლივოში, არავაქცინირებული მოზარდების ვაქცინაცია, სამედიცინო პერსონალის (ქირურგების, სტომატოლოგების, ენდოსკოპისტების, ონკოლოგების, რეანიმატოლოგების) ვაქ-

ცხრილი №4

რეკომენდაციები B ჰეპატიტის პროფილაქტიკური აცრების შესახებ

ინციდენტული კონდიციის ტიპი	ინციდენტის ტიპი	პროფილაქტიკის ტიპი
პერინატალური	მწვავე ან ქრონიკული	ვაქცინაცია + HBIG ^a
სექსუალური	მწვავე	HBIG ^b + ვაქცინაცია
	ქრონიკული	ვაქცინაცია
საყოფაცხოვრებო	ქრონიკული	ვაქცინაცია
მწვავე	კონტაქტის გარეშე	ვაქცინაცია არ არის საჭირო
	დადასტურებული კონტაქტი	HBIG ^b +/- ვაქცინაცია
	ჩვილი (12 თვეზე<)	ვაქცინაცია HBIG ^a თუ არ არის ვაქცინირებული

HBIG, ჰეპატიტი B – იმუნოგლობულინი

a-0.5 მლ.

b-0.06 მლ./კგ

იმუნიზაცია და მისი მიღითადი პრიცეპები

ცინაცია. ვაქცინაცია აუცილებელია პომოსექსუალისტებისთვის, მედავებისთვის, HBs ანტიგნის მატარებელ პირთა სქესობრივი პარტნიორებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის, პემოდიალიზზე მყოფი პაციენტებისთვის, ნარკომანებისთვის.

სასწავლო დაწესებულებებსა და სამუშაო ადგილებზე HBs ანტიგნის მატარებლებთან კონტაქტში მყოფ პირებს რუტინული ვაქცინაცია არ სჭირდებათ.

ვაქცინაციამდე B ჰეპატიტის ანტისხეულების სკრინინგის ჩატარება ხარჯეფებტურია მხოლოდ იმ პოპულაციაში, რომელსაც ამ ანტისხეულების ტიტრი მაღალი აქვს (ნარკომანებში). იმ პირებისთვის, რომლებმაც გადაიტანეს B ჰეპატიტი და აქვთ HBs ანტი-

გენი, აცრა პოსტვაქცინაციურ გართულებათა რისკს არ შეიცავს. მაღალი რისკის მქონე პირებს, ასევე – მათ, ვისაც ხშირი შეხება აქვს სისხლის პროდუქტებთან, ვაქცინის მესამე დოზის შეყვანიდან 1-3 თვის შემდეგ უნდა ჩატარდეთ ტესტირება ანტი-HBs-ზე, რათა დადგინდეს მათი ადეკვატური რეაგირება ვაქცინის მიმართ (იხ. ცხრილი №5). 1 წლის შემდეგ ამ ტესტის ჩატარება სასურველ ინფორმაციას არ იძლევა. ადრეული ასაკიდან მართებული სქემით ვაქცინირებულ პირთა მოზრდილ ასაკში რევაქცინაციის აუცილებლობა ჯერჯერობით დადასტურებული არ არის (ცხრილი №6).

ცხრილი №5

რეომაზეაციი იმ შემთხვევისთვის, როდესაც ადამიანი ინფიცირებულ შრატოან კონტაქტისა თავისი ლორწოვანი და ლოზვევა გარსებით (კონუსებითა, პირისა და სახელი რჩხანობის ლორწოვანი, კარხვევა შეოვლი და სხვა)

კონტაქტური პირი	ინფიცირების ფაზის ცოდნისა		ინფიცირების ფაზის უცოდისა
	HBsAg (+)	HBsAg (-)	
არავაქცინირებული	HB Ig x 1 ^a და HB ვაქცინაციის დაწყება ვაქცინით ^a	HB ვაქცინაცია ^b	HB ვაქცინაციის დაწყება
ვაქცინირებული	ვაქცინირებული (მორეაგირე)	არ იცრება	არ იცრება
	ვაქცინირებული (არამორეაგირე)	HB Ig x 2 ან HB Ig x 1 და რევაქცინაციის დაწყება	არ იცრება მაღალი რისკის დროს იცრება როგორც HBsAg პოზიტიური პირი
	ვაქცინირებული (უცნობი რეაგირებით)	ტესტირება ანტი-HBs-ზე 1. თუ არაადეკვატურია ^c მაშინ HB Ig x 1+HB ვაქცინა 2. თუ ადეკვატურია არ იცრება	ტესტირება ანტი-HBs-ზე 1. თუ არაადეკვატურია ^c იწყება ვაქცინაცია 2. თუ ადეკვატურია არ იცრება
Anti-HBs – B ჰეპატიტის ზედაპირული ანტიგნი; HB Ig – B ჰეპატიტის იმუნოგლობულინი.			
a - HB Ig ის დოზა 0.06მლ/კგ. ი/ზ			
b - მოზრდილთა დოზა			
c - ადეკვატური ანტი-HBs $\geq 10 \text{ mIU/mL}$ რადიოიმუნოლოგიური მეთოდით			

ცხრილი №6

B ჰეპატიტის საჭიროებები ვაქცინაცია

ვაშცინა	რეკომენდაცია	სენა	გვირდითი მოვლენები, უკანვებები და გაფართოებები
B ჰეპატიტის ი/მ ვაქცინა	<ul style="list-style-type: none"> • ყველა ახალგაზრდა პირი • პირები, რომელებსაც საყოფაცხოვრებო და სქესობრივი კონტაქტი აქვთ HbsAg პოზიტიურ პირებთან; • ნარკომანები, ჰეტეროსექსუალები, რომლებიც ხშირად იცვლიან პარტნიორს, ჰომოსექსუალები, STD (სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები) - დიაგნოზირებული პირები; ჰემოდიალიზზე მყოფი პირები; თირკმლის პათოლოგიის მქონე პირები; სისხლის რეციპიენტები; სისხლთან მომუშავე პერსონალი; უნარშეზღუდულ პირებთან მომუშავე პერსონალი; • ღვიძლის ქრონიკული დაავადებების მქონე პირები; • ემიგრანტებში საჭიროა სეროლოგიური სკრინინგის ჩატარება. HBsAg-პოზიტიურ პირებს და მათ სქესობრივ პარტნიორებს უტარდებათ შესაბამისი ვაქცინაცია. 	<ul style="list-style-type: none"> • კეთდება 3 დოზა 0, 1, 6 თვეს ინტერვალით • შეიძლება აგრეთვე შეევანა 0, 2, 4 და 0, 1, 4 თვეს ინტერვალით I და II დოზებს შორის ინტერვალი უნდა იყოს 4 კვირა, II და III დოზებს შორის – 8 კვირა, I და III დოზებს შორის ინტერვალი მინიმუმ 16 კვირას უნდა შეადგენდეს • თუ დოზებს შორის მეტი ხანი გავიდა, ვაქცინაცია გრძელდება ჩვეულებრივი სქემით. 	<ul style="list-style-type: none"> • ანაფილაქსის ეპიზოდი წარსულში • მწვავე და საშუალო სიმძიმის დაავადებები • შესაძლებელია, გაუკეთდეთ ორსულებსა და მეტუმურ ქალებს

გრიპი

უკვე მრავალი წელია, გრიპის პროფილაქტიკისთვის მისი ინაქტივორებული ვირუსის ვაქცინას იყენებენ. ახალი თაობის ვაქცინები გასუფთავებულია, ამიტომ სისტემურ და ადგილობრივ გვერდით ეფექტებს (ხანმოკლე ტკივილს, ცხელებას) ნაკლებად იწვევს [15]. კვერცხის მიმართ დადასტურებული ალერგიის შემთხვევაში ამ ვაქცინის შეევანა არ შეიძლება.

ახალგაზრდა, ჯანმრთელ პირებში გრიპის ვაქცინებს საემაოდ ძლიერი (70-80%) დამცავი ეფექტი აქვს, მოხუცებულებში კი – შედარებით სუსტი, თუმცა ვაქცინაციას შეუძლია, ამ პოპულაციაში თავიდან აგვაცილოს პნევმონია და კარდიოვასკულარული გართულებები (50-70%). ადეკვატური იმუნური პასუხი ვაქცინაციიდან 2-3 კვირაში ყალიბდება. პასუხი ადეკ-

ვატურია მაშინაც კი, როდესაც პაციენტი სტეროიდ-დამოკიდებულია.

გრიპის ვაქცინაციის ჩატარება რეკომენდებულია ყოველწლიურად, სექტემბერ-ოქტომბერში, გრიპის სეზონის დაწყებამდე. მიზანშეწონილია, აცრან 6-23 თვის ბავშვები, 50 წელს გადაცილებული ყველა პირი, აგრეთვე – ნებისმიერი ასაკის ყველა ის ადამიანი, რომელსაც აქვს გულის, ფილტვის, მეტაბოლური, ან იმუნოპათოლოგიური დაავადება, ქალები, რომელთა ორსულობის მეორე და მესამე ტრიმესტრი, სავარაუდოდ, გრიპის სეზონს (ნოემბერს, აპრილს) დაემთხვევა. ვაქცინაციას ექვემდებარებიან ყველა იმ პროფესიის პირები, რომელებსაც შეხება აქვთ მასასთან (პოლიციურები, მენანძეები, გამყიდველები, სამედიცინო პერსონალი, მასწავლებლები და სხვა) (ცხრილი №7;8).

იმუნიზაცია და მისი ძირითადი პრიცეპები

ცხრილი №7

გრიპის საჭიროაღდებო ვარცინაცია

ვარცინა	რეკომენდაცია	სევა	გვირდითი მოვლენები, უპაჩვენება და გაფრთხილება
გრიპის ტრიგალენტური ი/შ ინაქტივირებული ვაქცინა	<ul style="list-style-type: none"> • 50 წელზე უმცროსი ასაკის პირები • გულის, ფილტვის, თირკოლის დაავადებების, ჰემოგლობინობათიების, იმუნოსუპრესიის მქონე პირები. • პირები, რომელთაც ქრონიკული მდგო- მარეობები აღნიშნებათ • სამედიცინო პერსონალი • ქალები, რომლებიც აპირებენ დაორსულებას გრიპის ეპიდემიის სეზონზე • ექთნები და მომვლელები • 2 წლამდე ასაკს ბავშვებთან კონტაქტის მქონე პირები • ტურისტები და მოგზაურები • მომსახურების სფეროში მომუშავე პირები • სტუდენტები და მოსწავლეები • პირები, რომლებიც უჩივიან ხშირ გაციებას 	<ul style="list-style-type: none"> • ყოველ წელს • საუკეთესო პერიოდია ოქტომბერ-ნოემბერი. შეიძლება დეკმბერშიც. 	<ul style="list-style-type: none"> • მწვავე და მძიმე მდგომარეობები • ანაფილაქსიის შემთხვევა წარსულში

ცხრილი №8

გრიპის საჭიროაღდებო ვარცინაცია ცოცხალი დასუსტებული ვაქცინით

ვარცინა	რეკომენდაცია	გვირდითი მოვლენები, უპაჩვენება და გაფრთხილება
გრიპის ცოცხალი დასუსტებული ვაქცინა ინტრანაზა- ლურად	<ul style="list-style-type: none"> • 49 წლამდე ასაკის ჯანმრთელი არაორსული ქალები, რომლებიც მუშაობენ ან ცხოვრობენ მაღალი რისკის გარემოში; • სამედიცინო პერსონალი, რომელსაც კონტაქტი არ აქვს იმუნოსუპრესიულ პაციენტებთან; • 2 წლამდე ასაკის ბავშვების მომვლელები • მოგზაურები, რომლებიც მიემგზავრებიან ეპიდემიის რეგიონში • საზოგადოებრივი მომსახურების სფეროში მომუშავე პირები • სტუდენტები (განსაკუთრებით – საერთო საცხოვრებელში მცხოვრები) და პედაგოგები • ნებისმიერი პირი, რომელსაც სურს გრიპის თავიდან აცილება 	<ul style="list-style-type: none"> • ანაფილაქსიის შემთხვევა წარსულში • ორსულობა, ასთმა, რეაქციული სასუნთქი გზები, გულისა და ფილტვის ქრონიკული დაავადებები, დიაბეტი, თირკმლის უქმარისობა, ჰემოგლობინობათია, • იმუნოდეფიციტი, იმუნოსუპრესიული თერაპია, გუილაინ-ბარის სინდრომი • ნებისმიერი საშუალო სიმძიმესა და მწვავე დაავადება

ანეზოპოკური ვაქცინა

პნევმოკური ვაქცინა წარმოადგენს პოლივალენტურ, გასუფთავებულ, პოლისაქარიდულ ვაქცინას, რომელიც *streptococcus pneumoniae*-თი გამოწვეულ დაავადებათა პროფილაქტიკისთვის გამოიყენება. მისი ეფექტურობა 50-60%-ს აღწევს. ვაქცინაცია ტარდება ერთჯერადი დოზით (0.5 მლ ი/მ ან კანქეშ) და ნაკლებად განაპირობებს გვერდით ეფექტებს [18]. მისი შეყვანა შესაძლებელია გრიპის ვაქცინასთან ერთად, უმჯობესია, მეორე მხრის მიღამოში. ეს ვაქცინა რეკომენდებულია 65 წელს გადაცილებული ყველა პირისთვის, აგრეთვე - 2-დან 65 წლამდე ასაკის იმ ადამიანებისთვის, ვისაც აღნიშნება გულის ან ფილტვის რომელიმე ქრონიკული დაავადება, დიაბეტი, ალკოჰოლიზმი, იმუნოპათოლოგიური მდგომარეობა. რევაქცინაცია ტარდება ერთხელ, 5 წლის შემდეგ, იმ შემთხვევაში, როდესაც: ა)პაციინტი 65 წელზე ნაკლები ასაკისაა და იმუნოდეპრესიულია; ბ)65 წელს გადაცილებულია და საწყისი ვაქცინაცია ამ ასაკის მიღწევამდე აქვს ჩატარებული [19].

პნევმოკური ვაქცინით განპირობებული ადგილობრივი გვერდითი რეაქციები რევაქცინაციის შემდეგ უფრო მეტად ვლინდება (11%), ვიდრე პირველი აცრის შემდეგ (3%) და დაახლოებით 3 დღეს გრძელდება [20] (ცხრილი №9).

შითოვა

წითოვა ზოგჯერ საკმაოდ აგრესიულად მიმდინარეობს. ბოლო ხანს ამ ინფექციით განპირობებულმა სიკვდილობამ იმატა (ყოველი 1000 დაავადებულიდან კვდება 3). სიკვდილობის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია ადრეული ასაკის ბავშვებსა და მოზრდილებში და შედარებით დაბალია სასკოლო ასაკის ბავშვებში.

60-იანი წლების დასაწყისში – ინაქტივირებული, ხოლო შემდეგ ცოცხალი დამუშავებული ვაქცინების წყალობით აშშ-ში ამ დაავადებით სიკვდილობა 400 000-დან 1 500-მდე შემცირდა. მოგვიანებით შემთხვევათა რიცხვმა იმატა. ამჟამად წითოვათი უმთავრესად ავადებიან სკოლამდელი და სასკოლო ასაკის აუცრელი ბავშვები და მოზრდილები.

ვინაიდან ერთჯერადი დოზა სტაბილურ იმუნიტეტს ვერ აყალიბებს, რეკომენდებულია ორჯერადი აცრა MMR (წითელა, წითურა, ყბაყურა) ვაქცინით: ჯერ – 12-15 თვის, ხოლო შემდეგ – 4-6 წლის ასაკში.

ვაქცინაციის შემდეგ აცრილთა 5%-ს აღნიშნება გარდამავალი ცხელება 39.4°C -ზე მაღალი ტემპერატურით, გამონაყარი (7-12 დღის შემდეგ). იმ არაიმუნიზებული ქალების ჩვილები, რომლებსაც კონტაქტი ჰქონდათ წითელასთან, ექვემდებარებიან ვაქცინა-

ცხრილი №9

იაზნიზაციის სერა ანეზოპოკური ვაქცინით

ვაქცინა	რეკომენდაცია	სახელი	პერიოდი მოვლახისი, უპარავება და გაფრთხილება
პნევმოკური პოლისაქარიდული ვაქცინა ი/მ და კ/კ	<ul style="list-style-type: none"> • 65 წელზე უმცროსი ასაკის პირები • ქრონიკული დაავადებების რისკის გარემოში მცხოვრები პირები; გულის, ფილტვის, ღვიძლის დაავადებების, დიაბეტის მქონე პირები; • ალკოჰოლიზმით დაავადებულები; • პირები, რომლებსაც აღნიშნებათ ასპლენია, იმუნოდეფიციტი, ღევემია, ლიმფომა, პოჯკინის დაავადება, მრავლობითი მიელომა, თირკმლის ქრონიკული უქმარისობა, ნეფროზული სინდრომი; იღებენ იმუნოსუპრესანტებს ანდა ჩატარებული აქვთ ტრანსპლანტაცია 	<ul style="list-style-type: none"> • რეტინულად ინიშნება 1 დოზა, თუ წინასწარი ვაქცინაცია არ არის ცნობილი • მაღალი რისკის მქონე პირებისთვის 5 წლის შემდეგ რეკომენდებულია ერთჯერადი რევაქცინაცია • 65 წელზე უფროსი ასაკის პირებისთვის, თუ პირველი დოზა გაკეთებულია ამ ასაკში და მას შემდეგ გასულია 5 წელზე მეტი. 	<ul style="list-style-type: none"> • ანაფილაქსიის უპიზოდი წარსულში • მწვავე დაავადებები • შესაძლებელია, გაუკეთდეთ ორსულებსა და მეტყეტურ ქალებს

იმუნიზაცია და მისი მირითაღი პრიცეპები

ციას (უკეთდებათ Ig 0.25 მლ/კგ; max – 15მლ), ისევე, როგორც იმუნოსუპრესული ბავშვები და მოზრდილები (Ig 0.5 მლ/კგ; max – 15მლ.) (ცხრილი №10).

შპაზურა

ყბაყურას ასაცრელად გამოიყენება ცოცხალი დასუსტებული ყბაყურას ვირუსი MMR ვაქცინის სახით. რეკომენდებულია მისი რუტინული გამოყენება ბავშვებსა და აუცრელ ზრდასრულ პირებში (მოზრდილებში ამ ვირუსმა შესაძლოა გამოიწვიოს მწვავე მდგომარეობა – ორქიტი, მენინგიტი, პანკრეატიტი), რომლებსაც ეს დაავადება არ გადაუტანიათ [22]. 1957 წლამდე დაბადებულთა უმრავლესობა ყბაყურას ვირუსის მიმართ იმუნურად მიიჩნევა. დაავადება ხშირად ვლინდება საგანმანათლებლო დაწესებულებებში. აცრის შემდეგ რეციპიენტების 90%-ს ხანგრძლივი იმუნიტეტი უფალიბდება.

შითურა

წითურას ცოცხალი დასუსტებული ვაქცინა პირველად 1970 წელს იქნა მოწოდებული. მრავალ ქვეყანაში წლამდე ასაკის ბავშვებში ამ ვაქცინის რუტინული გამოყენება დაიწყეს. ვაქცინაციის მთავარი დანიშნულება ორსულთა დაცვა და, ამის კვალობაზე, თანდაყოლილი წითურას თავიდან აცილება.

ყოველი ადამიანი, რომელიც სამედიცინო დაწესებულებაში მუშაობს, მაგრამ არ ჩატარებია ვაქცინაცია და სეროლოგიურად არ უდასტურდება წითურას მიმართ იმუნიტეტის არსებობა, ექვემდებარება ვაქცინაციას (MMR ვაქცინით) [22]. მოზრდილები, განსაკუთრებით – ფერტილური ასაკის ქალები და გოგონები, აუცილებლად უნდა აიცრან, მით უმეტეს – თუ სეროლოგიურად არ უდასტურდებათ ანტისეულების არსებობა. ვაქცინირებული ქალები 3 თვის განმავლობაში უნდა ერიდონ დაორსულებას. პოსტპუბერტული ასაკის ქალების 25%-ს ვაქცინაციის შემდეგ 1-3 კვირის განმავლობაში გარდამავალი ართრალგიები აღენიშნება.

ცხრილი №10

რეკომენდაციები წითელას აცრასთან დაკავშირებით

აცრის რუტინული სქემა ბავშვებში უმრავლეს რეგიონებში	კეთდება 2 დოზა (a; b) I დოზა – 12-15 თვის ასაკში II დოზა – 4-6 წლის ასაკში
მაღალი რისკის რეგიონებში (ქვეყნებში, სადაც სკოლამდელი ასაკის ბავშვებს შორის ყოველ 5 წელიწადში ერთხელ ვლინდება 5 შემთხვევა ან უახლოეს წარსულში დაფიქსირდა დაავადების გაფრცელება)	კეთდება 2 დოზა (a; b) I დოზა – 12 თვის ასაკში II დოზა – 4-6 წლის ასაკში
აცრა არ ტარდება	<ul style="list-style-type: none">• თუ დადასტურებულია ორჯერადი ვაქცინაცია• დაავადების გადატანა• იმუნოლოგიურად დასტურდება იმუნიტეტის არსებობა

a - კომბინირებული MMR ვაქცინა
b - თუ არ არის აცრილი, მაშინ კეთდება 2 დოზა 1 თვის ინტერვალით

MMR ვაქცინაცია

უმეტესად გამოიყენება კომბინირებული MMR ვაქცინები, თუმცალა არსებობს ვაქცინები მის შემადგენლობაში შემავალი ცალკეული კომპონენტების მიმართ. ბავშვებისთვის რეკომენდებულია MMR ვაქცინის 2 დოზა: პირველი – 12-15 თვის, მეორე – 4-6 წლის ასაკში, სკოლაში შესვლის წინ, თუმცა მისი გაკეთება შესაძლებელია მოგვიანებითაც – 11-12 წლის ასაკში. MMR ვაქცინის წითელას კომპონენტი ინექციიდან 7-12 დღის განმავლობაში ზოგჯერ ცხელებას, გამონაყარს იწვევს. არ შეიძლება ამ ვაქცინის შეყვანა ორსულებისთვის. იგი იშვიათად განაპირობებს ანაფილაქსიურ და სხვა სისტემურ რეაქციებს.

1957 წლამდე დაბადებულთა უმრავლესობა განიხილება როგორც იმუნიტეტის მატარებელი წითელას, წითელასა და ყაფურას მიმართ. ადამიანები, რომლებიც 1957 წელს ან უფრო გვიან დაიბადნენ და არ აღნიშნებათ ვაქცინაციის უპურვენება, შესაძლებელია აიცრან MMR ვაქცინით (მინიმუმ ერთი დოზით). თუ მეორე დოზის შეყვანა აუცილებელი გახდა, ის პირველიდან, სულ მცირე, 1 თვის შემდეგ უნდა გაკეთდეს (ცხრილი №11).

ემიგროპუნქტი დაავადება

ეს ინფექცია, განსაკუთრებით – ჩვილებში, სიცოცხლისთვის საშიშ დაავადებად მიიჩნევა. გამორჩევით მაღალია მისი სიხშირე დაბალი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გარემოში მცხოვრებ პირებს, სამხედროებს შორის და სასწავლო დაწესებულებების კონტინგენტში [23].

არსებობს ორი სეროტიპის შემცველი ვაქცინა: A, C, Y და W-135, ასევე – პოლისაქარიდული ვაქცინა MPSV4 (Menomune), რომელიც ერთჯერადად კეთდება და უფრო ხანგრძლივ იმუნიტეტს ტოვებს (ყალიბდება 2 კვირის განმავლობაში). MPSV4 პოლისაქარიდ-პროტეინული კონიუგირებული ვაქცინა (Menactra) კეთდება ერთჯერადი ინტრამუსკულარული დოზით და კიდევ უფრო სტაბილურ იმუნიტეტს განაპირობებს. ვაქცინაცია რეკომენდებულია ყველა მოზარდისა და ახალგაზრდისთვის, სტუდენტისა და მოსწავლისთვის (ცხრილი №13). ვაქცინაცია ნაჩვენებია აგრეთვე იმ რევიონების მოსახლეობისთვის, სადაც უკანასკნელი 3 თვის მანძილზე ყოველ 100 000 მოსახლეზე მინიმუმ 10 შემთხვევა აღირიცხება. კონტაქტში მყოფ პირებს შესაძლებელია ჩაუტარდეთ ფარმაკოპროფილაქტიკა (იხ. ცხრილი №12).

ცხრილი №11**ვაქცინაციის სევა MMR ვაქცინით**

ვაქცინა	რეაგონდება	სევა	გვირდითი ალერეაზი, უარესება და გაფრთხილება
MMR (წითელა, წითელა, ყბაყურა)	<ul style="list-style-type: none"> • მაღალი რისკის ჯგუფის პირები: სამედიცინო პერსონალი, მოსწავლები და სტუდენტები, მოგზაურები და ტურისტები – იცრებიან ორჯერ. • კეთდება ვაქცინის მინიმუმ ერთი დოზა, თუ სეროლოგიურად არ დასტურდება იმუნიტეტის არსებობა ან პაციენტს არ ჩატარებია ვაქცინაცია ბავშვებაში (1 წლის შემდეგ). • 1957 წლამდე დაბადებულებს აცრა არ სჭირდებათ, თუმცა სამედიცინო პერსონალისთვის აუცილებელია იმუნიტეტის არსებობის სეროლოგიური დადასტურება • იცრებიან პრემნოპაუზური ასაკის ქალები, რომლებსაც იმუნიტეტის არსებობა არ უდასტურდებათ 	<ul style="list-style-type: none"> • კეთდება 1 ან 2 დოზა. • თუ საჭიროა მეორე დოზის გაკეთება, ის შეჰყუფთ 4 თვის შემდეგ. • თუ MMR-თან ერთად საჭიროა ვარიცელას ვაქცინის შეყვანა, მათ შორის ინტერვალი 4 კვირაზე ნავლები არ უნდა იყოს. • თუ ვაცვობთ, რომ ორსული წითელას ვირუსით არის ინფიცირებული, ის უნდა აიცრას მშობიარობის შემდეგ. 	<ul style="list-style-type: none"> • ანაფილაქსიური რეაქციები წარსულში • თუ ქალი ორსულად არის ან გეგმავს დაორსულებას მომდევნო 4 კვირის განმავლობაში • იმუნოდეფიციტური მდგომარეობა სიმსიცნის, ლეიკემიის, ლიმბომის, იმუნოსუპრესიული თერაპიის გამო, აგრეთვე – შიდსის დროს • თუ პაციენტს უკანასკნელი 11 თვის განმავლობაში გადასტურებული აქვს სისხლი, პლაზმა და/ან იმუნოგლობულინი • მწვავე და საჭულო სიმძიმის პათოლოგიური მდგომარეობები • ანამნიზში თრომბოციტოპენია და თრომბოციტოპაუზური პურპურა • მეტებური ქალების აცრა დასაშვებია. • მანტუს სინჯასა და MMR ვაქცინაციას შორის უნდა გავიდეს 4-6 კვირა

იმუნიზაცია და მისი მიღითადი პრიცეპები

ცხრილი №12

მონიტორინგური დაგენერიკული ფარმაციული მიმღებების

პრევარატი	მაცინების ასაკი	დოზა	სამშენებლივობა და უყვანის გზა (b)
რიფამპინი (b)	1 თვეზე უმცროსი ასაკის ბავშვები	5 მგ/კგ 12 სთ/ერთხერ	2 დღე
	1 თვეზე უფროსი ასაკის ბავშვები	10 მგ/კგ 12 სთ/ერთხერ	2 დღე
	ზრდასრულები	600 მგ 12 სთ/ერთხერ	2 დღე
ციპროფლოქსაცინი (c)	ზრდასრულები	500 მგ.	ერთჯერადად
ცეფტრიაქსონი (ავექსონი, რაციოცეფი)	15 წელზე უმცროსი ასაკის ბავშვები	125 მგ.	ერთჯერადად ი/მ (d)
ცეფტრიაქსონი (ავექსონი, რაციოცეფი)	ზრდასრულები	250 მგ.	ერთჯერადად ი/მ

a - თუ სხვა ჩვენება არ არსებობს, ინიშნება ორალურად
 b - არ არის რეკომენდებული ორსულებისა და ქალებისთვის, რომლებიც კონტრაცეპტივებს იღებენ
 c - არ არის რეკომენდებული 18 წლამდე ასაკის ბავშვებისა და მოზარდებისთვის, ასევე – ორსულებისა და მეტუძერი
 ქალებისთვის
 d - კეთდება ინტრამუსკულარულად

პრლიომილიტი

განვითარებულ ქვეყნებში პოლიოვაქცინაციის შედეგად პოლიომიელიტი, პრაქტიკულად, ლიკვიდირებულია. ორალური პოლიოვაქცინის მთავარი გართულებაა დაბლა. ამ გართულების თავიდან ასაცილებლად 1997 წელს ზოგიერთ ქვეყანაში ორალური პოლიოვაქცინის ტრადიციული სქემა შეიცვალა ალტერნატიულით, რომლის მიხედვითაც თავდაპირველად კეთდება ინაქტივირებული პოლიოვირუსული ვაქცინა (IPV), ხოლო შემდეგ – ორალური პოლიოვაქცინა (OPV). 2000 წლიდან კი უმთავრესად IPV ვაქცინა გამოიყენება [25; 26]. განვითარებულ ქვეყნებში პოლიოვაქცინაცია მხოლოდ მათ უტარდებათ, ვინც ენდემურ რეგიონებში მოგზაურობს. ამ შემთხვევაში პირები, რომლებიც OPV ან IPV ვაქცინით არიან აცრილნი, დამატებით იცრებიან IPV ვაქცინით, არავაქცინირებულებს კი მხოლოდ IPV ვაქცინა უკეთდებათ [25].

ცოცი

განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში ცოფის შემთხვევები, პრაქტიკულად, არ აღირიცხება. ამ დავადების თავიდან აცილება თეორიულად შესაძლებელია პრევენციული აცრის დროული ჩატარებით. ცოფის საინკუბაციო პერიოდი 2-8 კვირაა, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც იგი 10 დღემდე მცირდება ან 1 წლამდე ხანგრძლივდება.

1982 წლიდან ცოფის პრევენციისთვის დაიწყეს ინაქტივირებული ვირუსული ვაქცინის გამოყენება, რომელიც ადამიანის დიპლომდებური უჯრედებისგან არის დამზადებული. ის ძველ (ფრინველის ქმბრიონზე დამზადებულ) ვაქცინებთან შედარებით უფრო მსუბუქად მიმდინარე გვერდით ეფექტებს იწვევს. ამ ვაქცინის შეყვანა, ისევე, როგორც ადამიანის ჰიპერიმუნგლობულინური ვაქცინისა (HRIg), ინტრამუსკულარულად ან ინტრადერმულად ხდება.

ცხოველთან კონტაქტის შემდეგ პროფილაქტიკური აცრა მიმდინარეობს შემდეგი სქემით [27]: პირველ დღეს კეთდება HRIg 20 ერთ/კგ, მთლიანი დოზის ნახევრით ტარდება ნაკბენი ადგილის ინფილტრაცია, ხოლო დანარჩენი ინტრამუსკულარულად შეჰქავთ; ვაქცინის დამატებითი დოზა კეთდება მე-3, მე-7, მე-14 და 28-ე დღეს. ამ სქემის ეფექტურობა დადასტურებულია. გვერდითმა მოვლენებმა (0.5%) შესაძლოა თავი იჩინოს ურტიკარიის, ანაფილაქსიური რეაქციის, გარდამავალი თავის ტკიფილისა და ცხელების სახით.

პროფილაქტიკა შესაძლოა ცხოველთან კონტაქტამდეც ჩატარდეს. ეს ფორმა უმთავრესად მათთვის არის აქტუალური, ვისაც ხშირად უხდება ცხოველებთან ურთიერთობა (ვეტერინარებისთვის, ზოოპარკის თანამშრომლებისთვის და სხვა) და დაკბენის მეტი საფრთხე ემუქრება. ასეთი ვაქცინაცია ტარდება შემდეგი სქემით: ვაქცინა კეთდება ინტრადერმულად 0.1 მლ ან ინტრამუსკულარულად 1.0 მლ. ინექციები ტარდება ნულოვან, მე-7, 21-ე ან 28-ე დღეს. ამის შემდეგ ყოველ 2 წელიწადში ერთხელ კეთდება შემანარჩუნებელი დოზა.

პრეექსპოზიციური ვაქცინაცია პოსტექსპოზიციურს არ გამორიცხავს, თუმცა ამ შემთხვევაში HRIg-ის გაკეთება საჭირო აღარ არის და შემდგომი აცრების რაოდენობაც მცირდება (კეთდება მხოლოდ ნულოვან და მე-3 დღეს).

ტუბერკულოზი

ტუბერკულოზის კონტროლი სამ მიმართულებას ეფუძნება: დააგადების აღრეულ ეტაპზე იდენტიფიცირებას, მწვავე შემთხვევების აქტიურ მკურნალობას და კონტაქტში მყოფი და რისკის ჯგუფში შემავალი პირების პროფილაქტიკურ მკურნალობას (უმთავრესად – იზონიაზიდით). ვინაიდან განვითარებულ ქვეყნებში ტუბერკულოზის შემთხვევათა უმრავლესობა რეაქტივაციული ფორმისაა, ხოლო BCG ვაქცინაციის ეფექტურობა ერთმნიშვნელოვნად არ არის დადასტურებული, გარკვეული ხნის განმავლობაში ამ ვაქცინაციის რუტინული ჩატარების აუცილებლობა საკამათო გახდა [28]. ამასთანავე, ბოლო ხანს საგრძნობლად იმატა იზონიაზიდისა და რიფამპინის მიმართ ტუბერკულოზის რეზისტენტულმა ფორმებმა, ხოლო კვლევებმა BCG ვაქცინაციის 50%-იანი ეფექტურობა დაადასტურა, ამიტომ აუცილებელი გახდა ზემოხსენებული პოზიციის გადაფასება. ამჟამად BCG ვაქცინაციასთან დაკავშირებით მოწოდებულია შემდეგი რეკომენდაციები:

BCG ვაქცინაცია აუცილებელია:

- 1) ჩვილებისა და ადრეული ასაკის ბავშვებისთვის, რომელსაც ტუბერკულინური სინჯი უარყოფითი აქვთ, მაგრამ კონტაქტში არიან არანამეტურნალევ ან წარუმატებლად ნამკურნალევ პაციენტებთან და ამ კონტაქტის შეწყვეტა შეუძლებელია;
- 2) მედიცინის მუშაკებისთვის, რომელთა ტუბერკულინური სინჯის პასუხი უარყოფითია, მაგრამ მუდმივი

ცხლილი №13

იმუნიზაციის სხეული მენენგიოპური კონიუბილებული და აოლისაჩარილებული ვარცილით

ვარცილი	რეაგოვნები	სხეული	გვირდითი მოვლენები, უკანვაცება და გაფრთხილება
მენინგოკოური კონიუგირებული ვაქცინა (MCV4) ი/მ	• 55 წლამდე ასაკის პირებისთვის უპირატესობა ენიჭება MCV4 ვაქცინას.	• ანაფილაქსიური და ნევროლოგიური რეაქციები წარსულში	• მწვავე და მძიმე მდგომარეობები
პოლისაქარიდული ვაქცინა (MPSV4) კეთდება სუბ/კუტ	• სარისკო პაციენტებს უკეთდებათ ერთი დოზა. 5 წლის შემდეგ, თუ რისკი კვლავ არსებობს და პირველი ვაქცინაცია ჩატარდა MPSV4-ით, ტარდება რევაქცინაცია.	• ორსულებსა და მეტყმურ ქალებს შესაძლებელია გაუკეთდეთ ორივე ვაქცინა	

იმუნიზაცია და მისი მიღითადი პრიცეპები

ვი ან ეპიზოდური კონტაქტი აქვთ დაავადებულებ-თან (განსაკუთრებით – დაავადების რეზისტენტუ-ლი ფორმების შემთხვევაში).

BCG არის ცოცხალი დასუსტებული ვაქცინა, რომელიც mycobacterium bovis-ისგან არის მიღებუ-ლი. კეთდება კანქვეშ. რამდენიმე კვირის შემდეგ ვაქ-ცინის შეყვანის ადგილას ჩნდება მცირე ზომის პუს-ტულა. ვაქცინაცია უკუნაჩვენებია იმუნოსუპრესიული პრეპარატების მიღებისას და იმუნოსუპრესიული მდგომარეობის შემთხვევაში.

ჩუთხვავილა

ამ დაავადებას მაღალი კონტაგიურობა ახასია-თებს და ოვითგანურნებადია. ახალგაზრდებსა და მოწიფეული ასაკის პირებში ის შედარებით იშვიათია და უპირატესად იმუნდეფიციტის ფორმების გლინდება. ჩუტყვავილას გართულებებია პნევმონია, ენცეფალიტი. დაავადება ზოგჯერ სიკვდილითაც კი სრულდება.

1995 წლიდან დაიწყო ჩუტყვავილას საწინააღმდეგო ვარიცელას ცოცხალი დასუსტებული ვაქცინის გამოყენება. ვაქცინაცია უმთავრესად ბავშვე-ბისთვის არის ნაჩვენები, თუმცა რეკომენდებულია 12

წელზე უფროსი ასაკის ყველა პირის აცრა. ზრდას-რული მოსახლეობის 70-90%, რომელსაც ანამნეზში დაავადება არ აღენიშნება, მის მიმართ იმუნური-ა, ამიტომ აცრის ჩატარებამდე სასურველია იმუნი-ტეტის არსებობის ლაბორატორიული დადასტურება. 12 თვიდან 12 წლამდე ასაკის ბავშვები იცრებიან ერ-თი დოზით, 12 წელზე უფროსი ასაკის პირებისთვის კი საჭიროა ორი ინექცია (მეორე დოზა კეთდება კან-ქვეშ, პირველის შეყვანიდან 4-8 კვირის შემდეგ). ვაქცინაციის შემდეგ მოსალოდნელია უმნიშვნელო აღ-გილობრივი რეაქცია. შესაძლებელია აგრეთვე, ჩატარ-დეს პოსტკონტაქტური პროფილაქტიკა ვარიცელა ზოსტერის იმუნოგლობულინით, რაც განსაკუთრებით სასურველია იმუნდეფიციტური მდგომარეობის დროს. პროფილაქტიკა განსაკუთრებით ეფექტურია, თუ კონტაქტიდან 96 საათის განმავლობაში ჩატარ-და. პროფილაქტიკისთვის ვაქცინაცია შეიძლება ჩაუ-ტარდეთ ჯანმრთელ პირებს, განსაკუთრებით – ორსუ-ლებს. ამ შემთხვევაში რეკომენდებულია შემდეგი დო-ზა: 125 ერთეული 10კგ-ზე კუნთში (ცხრილი №14).



ცხრილი №14

ვარიცელის სევა ვარიცელას ვაჟინით

ვარიცელა	რეკომენდაცია	სევა	ჩვერებითი მოვლენები, უაუზენება და გაფრთხილება
ვარიცელას ვაქცინა (ჩუტყვავილა) სუბ/კუტ	<ul style="list-style-type: none">• იცრება ყველა მოზარდი და ზრდასრული იმუნურად დაუცველი პირი, განსაკუთრებით – იმუნოსუპრესიული პირები და სამედიცინო პერსონალი• პირები, რომლებიც დაიბადნენ 1966-1997 წლებში და გადაიტანეს ჩუტყვავილა, განიხილებიან როგორც დაცულები• თუ ანამნეზით ჩუტყვავილას გადატანის ფაქტი ვერ დასტურდება, შესაძლებელია სეროლოგიური ტესტირების ჩატარება.	<ul style="list-style-type: none">• კეთდება ორი დოზა• მეორე დოზა კეთდება 4-8 კვირის შემდეგ• თუ ერთსა და იმავე დროს საჭიროა ვარიცელასა და MMR ვაქცინები, მათ ინტენსიური შორის 4 კვირა უნდა გავიდეს.• თუ მეორე დოზა დაგვიანდა, პირველის გამეორება არ არის საჭირო.	<ul style="list-style-type: none">• წარსულში ანაფილაქსიური რეაქცია• ორსულობა ან დაორსულების ალბათობა მომდევნო 4 კვირის განმავლობაში (საჭიროა კონტრაცეპტივების გამოყენება)• იმუნდეფიციტური მდგომარეობები და იმუნოსუპრესიული მკურნალობა• თუ პაციენტს უკანასკნელი 11 თვის მანძილზე გადასხმული აქვს სისხლი, პლაზმა ან იმუნოგლობულინი• საშუალო სიმძიმის და მძიმე პათოლოგიური მდგომარეობები• მეტედრი ქალების ვაქცინაცია დასაშვებია

ლიტერატურა

1. Siber GR, Werner BG, Halsey NA, et al. Interference of immune globulin with measles and rubella immunization. *J pediatr* 1993;122:204.
2. Chen RT, Rastogi SC, Mullen JR, et al. The vaccine adverse event reporting system (VAERS). *Vaccine* 1994;12:542.
3. FDA Drug Bull. 1988;18:16.
4. Recommendations of the advisory Committee on Immunization Practices (ACIP), the American Academy of Pediatrics, the American Academy of Family Physicians, and the American Medical Association. Immunization of adolescents. *MMWR Recomm Rep* 1996;45(RR-13):1-16.
5. CDC. Racial/ethnic disparities in influenza and pneumococcal vaccination levels among persons > 65 years-United States, 1989-2001. *MMWR* 2003;52:958.
6. Ndiaye SM, Hopkins DP, Shefer AM, et al. Interventions to improve influenza, pneumococcal polysaccharide, and hepatitis B vaccination coverage among high-risk adults: a systematic review. *Am J Prev Med* 2005;28(Suppl 3):248.
7. Szilagyi PG, Bordely C, Vann JC, et al. Effect of patient reminder/recall interventions on Immunization rates: a review. *JAMA* 2000;284:1820.
8. Briss PA, Rodewald LE, Hinman AR, et al. Reviews of evidence regarding interventions to improve vaccination coverage in children, adolescents, and adults. *Am J Prev Med* 2000;18(1S):97.
9. Association of Teachers of Preventive Medicine, Increasing adult vaccination rates: what works. Computer assisted instruction on strategies to improve adult vaccinations rates. This program is being updated and should become available again in 2006. Information available at the ATPM website, www.atpm.org. Publications and Resources, Continuing Education Programs. Also available by e-mailing WhatWorks@ATPM.org, or by calling 1-540-380-5883.
10. Recommendations of the Advisory Committee on Immunization Practices (ACIP). Diphtheria, tetanus, and pertussis: Recommendations for vaccine use and other preventive measures. *MMWR Recomm Rep* 1991;40(RR-10):1-28.
11. Recommendations of the Advisory Committee on Immunization Practices (ACIP). Prevention of hepatitis A Through active or passive immunization. *MMWR Recomm Rep* 1999;48(RR-12):1-37.
12. Recommendations of the Advisory Committee on Immunization Practices (ACIP). Hepatitis B virus infection: a comprehensive immunization strategy to eliminate transmission in the United States. *MMWR Recomm Rep* 1991;40(RR-13):1-25.
13. Stevens CE, Taylor PE, Tong MJ, et al. Yeast-recombinant hepatitis B vaccine. Efficacy with hepatitis B immune globulin in prevention of perinatal hepatitis B virus transmission. *JAMA* 1987;257:2612.
14. Lemon SM, Thomas DL. Vaccines to prevent viral hepatitis. *N Engl J Med* 1997;336:196.
15. Recommendations of the Advisory Committee on Immunization Practices (ACIP). Prevention and control of influenza. *MMWR Recomm Rep* 2005;54(RR-8):1-40. (Note: Update for each year issued by ACIP.)
16. Margolis KL, Nichol KL, Poland GA, et al. Frequency of adverse reactions to influenza vaccine in the elderly. *JAMA* 1990;264:1139.
17. Gross PA, Hermogenes AW, Sacks HS, et al. The efficacy of influenza vaccine in elderly persons. A meta-analysis and review of the literature. *Ann Intern Med* 1995;123:518.
18. Recommendations of the Advisory Committee on Immunization Practices (ACIP). Prevention of pneumococcal disease. *MMWR Recomm Rep* 1997;46(RR-8):1-24.
19. Shapiro ED, Berg AT, Austrian R, et al. The protective efficacy of polyvalent pneumococcal polysaccharide vaccine. *N Engl J Med* 1991;1453.
20. Jackson LA, Benson P, Sneller VP, et al. Safety of revaccination with pneumococcal polysaccharide vaccine. *JAMA* 1999;281:243.
21. Atkinson WL, Orenstein WA, Krugman S. The resurgence of measles in the United States, 1989-1991. *Annu Rev Med* 1992;43:451.
22. Recommendations of the Advisory Committee on Immunization Practices (ACIP). Measles, mumps, and rubella: vaccine use and strategies for measles, rubella, and congenital rubella syndrome elimination and control of mumps. *MMWR Recomm Rep* 1998;47(RR-8):1-57.
23. Recommendations of the Advisory Committee on Immunization Practices (ACIP). Meningococcal disease and college students. *MMWR Recomm Rep* 2000;49(RR-7):13.
24. Recommendations of the Advisory Committee on Immunization Practices (ACIP). Prevention and control of meningococcal disease. *MMWR Recomm Rep* 2005;54(RR-7):1-21.
25. Recommendations of the Advisory Committee on Immunization Practices (ACIP). Poliomyelitis prevention in the United States. *MMWR Recomm Rep* 2000;49(RR-5):1-22.
26. Alexander LN, Seward JF, Santibanez TA, et al. Vaccine policy changes and epidemiology of poliomyelitis in the United States. *JAMA* 2004;292:1696.
27. Recommendations of the Advisory Committee on Immunization Practices (ACIP). Human rabies prevention:

- United States. MMWR Recomm Rep 1999;48(RR-1):1-21.
28. Advisory Council for Elimination of Tuberculosis and Advisory Committee on Immunization Practices (ACIP). The role of BCG vaccine in the prevention and control of tuberculosis in the United States. MMWR Recomm Rep 1996;45(RR-4):1-18.
29. Brewer TF. Preventing tuberculosis with bacillus Calmette-Guérin vaccine: a meta-analysis of the literature. Clin Infect Dis 2000;3:S64.